ახალგაზრდა ეროელი

15 ივნისი შაბათი 1991 № 69 (11702)

1921 წლიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართვა
საქართველოს მოსახლეობისადმი

თანამემამულენო! მოკლე ისტორიული პერიოდის მანძილზე ჩვენი სახელმწიფოს მკვიდრმა მოსახლეობამ სამჯერ გამოხატა თავისი ნება. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებმა, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმმა და 26 მაისის პრეზიდენტის საერთო სახალხო არჩევნებმა ცალსახად განსაზღვრა ჩვენი მისწრაფებანი. ეს არის და იქნება უველაზე ძლიერი არგუმენტი კრემლთან მოლაპარაკებისთვის და სხვა ქვეყნების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დიპლომატიური ცნობისთვის. მიუხედავად ასეთი ერთსულოვნებისა, საქართველოში დღეს კვლავ მერყეევი ვითარებაა. იზრდება დამნაშავეობა, შიდა ქართლში იღვრება სისხლი, კვლავ ქვეითდება წარმოება.
როდესაც ქვეყნის მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, გასაგებია, რომ მერყეობა ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებით ვერ იქნება გამოწვეული, ის ე. წ. ცენტრის ძალისხმევის შედეგია. ასეთ ვითარებაში მხოლოდ ჩვენი სულიერი და ფიზიკური დაჭაბუქულობა მისცემს ცენტრს საშუალებას, ბოლომდე განახორციელოს საკუთარი სტრატეგიული მიზნები საქართველოში.
შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია: ხალხი ერთსულოვნად გამოხატავს უალტერნატივო პოლიტიკურ ნებას, ქვეყანაში კი გრძელდება კომუნისტური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი მოვლენები: კორუფცია, შრომისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, საბოტაჟი, დამტაცებლობა, მაფიოზური კლანების თარეში.
გასაგებია, რომ ძველი სისტემის ნგრევისა და ახლის შენების დროს გარდაუვალია ასეთი მოვლენების ინტენსიფიკაცია, რომ ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ორგანოებმა ჯერჯერობით ვერ გამონახეს კრემლის ეკონომიკური მარწუხებიდან თავის დაღწევის უველაზე ოპტიმალური გზა. მაგრამ, თანამემამულენო, არ დაგვავიწყდეს, რომ საქართველო ამავე დროს დაპყრობილი ქვეყანაა. ჩვენ უფლებას ვერ მივცემთ საკუთარ თავს სოციალური გაჭირვება თუ უსამართლობა ძველის რღვევის და ახლის შენების პროცესს დავაბრალოთ.
პოლიტიკური აქტიურობის პარალელურად უეჭველად იგრძნობა სოციალური და შემოქმედებითი პასიურობა. ეს კი შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ან კიდევ, მესამე სამყაროს ქვეყნების მსგავსად, ტვირთად დავაწვეთ მსოფლიო ეკონომიკას, რაც კიდევ უფრო სავალალო იქნება ჩვენთვის.
საქართველოში მრავალი ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის ლოზუნგებმა თავდაპირველად ისინი შეაშინა, რაც განპირობებული იყო, ერთი მხრივ, არსებული სტატუს-კვოს დარღვევის საშიშროებით, ხოლო მეორე მხრივ, შედეგი კრემლის „ინტერნაციონალისტური“ გაკვეთილებისა. სამწუხაროდ, არაქართველმა მოსახლეობამ სწორად შეაფასა მიმდინარე პროცესების სახიათი და მიზნები და განუდგა საბჭოთა იმპერიალიზმს. ქართველი ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბებულმა ტოლერანტობამ და რელიგიურმა შემწყნარებლობამ უკვალოდ არ ჩაიარა. სხვა ეროვნების წარმომადგენლები მიხვდნენ, რომ დემოკრატიული, თავისუფალი ქვეყანა მათი კულტურული თუ სოციალური თვითმყოფადობის შენარჩუნების გაცილებით უფრო ძლიერი გარანტი იქნება, ვიდრე საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც დიდი იმპერიის ერთ-ერთ გეოგრაფიულ პროვინციას წარმოადგენდა.
სამწუხაროდ, ისეთი ღირებულებები, როგორიცაა ენა, კულტურა, ხალხის კეთილდღეობა, ნაკლებად აწუხებთ ცხინვალის და ჯავის რაიონებში თავმოყრილ ოს ექსტრემისტებს.
ზოგ-ზოგთა პოლიტიკურმა ამბიციებმა დიდი სისხლისღვრა გამოიწვია, რაც თანაბრად სტკენს ეულს უველას, ვისთვისაც თანასწორუფლებიანობა და კეთილმეზობლობა ლიტონი სიტკვები არ არის.
კონფლიქტის მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით გადაჭრის მიზნით საქართველოს უზენაესი საბჭოს ინიციატივით შეიქმნა და თვეზე მეტია კონფლიქტის რაიონებში მუშაობს საპარლამენტთაშორისო კომისია, რომელმაც დასახა სტაბილიზაციის გზები. გამოინახა ოს მოსახლეობასთან შეხების წერტილები. გაირკვა, რომ ისინიც არანაკლებ შეწუხებული არიან გაჭიანურებული ხაომარი მდგომარეობით.
საპარლამენტთაშორისო კომისიამ პრობლემის მშვიდობიანად გადაჭრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გზად დასახა საქართველოს პრეზიდენტის მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი. ყურადღებას რა კომისიის თხოვნას, ვადასტურებ, რომ უველა, ვინც ნებაყოფლობით ჩაბარებს იარაღს მართლწესრიგის დამცველ ორგანოებს, გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან იარაღის უკანონო ტარებისათვის. იარაღის ნებაყოფლობითი ჩაბარება და უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება იქნება გარანტია ძმათა შორის სისხლისღვრის შეწყვეტისა, ოს ხალხთან ტრადიციული მეგობრობისა და მშვიდობის აღდგენისა, საგაზაფხულო და საშემოდგომო სამუშაოების დაწყებისა, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის აღდგენისა მთელს რეგიონში.
გარდა ამისა, დასრულების ფაზაშია საქართველოს მოქალაქეობის კანონი, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეობის მინიჭებას უველასთვის, ვინც მუდმივად არის ჩაწერილი საქართველოს რესპუბლიკაში.
თანამემამულენო! საქართველოს ისტორიის ამ ერთ-ერთ უველაზე დრამატულ და შფოთიან ხანაში უველა ჩვენგანის ვალია გამოიჩინოს ეროვნული და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მხოლოდ ამ შემთხვევაში დავაღწევთ თავს იმპერიის მარწუხს და მხოლოდ ამ შემთხვევაში გავხდებით მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროს სრულფასოვანი წევრი. დე, იყოს ჩვენი დევიზი სამოქალაქო თანხმობა, ურთიერთგაგება და მშვიდობა!
ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

12 ივნისი, 1991 წ.

გუშინ, გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა. მასალას სესიის მუშაობის შესახებ შემოგთავაზებთ ჩვენი გაზეთის შემდგომ ნომრებში.

წინასწარი მონაცემებით რსფსრ-ს პრეზიდენტად არჩეულია ბორის ელცინი

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით საქართველოს რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლდა ნოდარ ცქიტიშვილი. ამ თანამდებობაზე დაინიშნა ვიქტორ იაშვილი.

საქინფორმი

რეპლიკა

დაერეკათ მაინც...

შეიძლება, მკითხველებს ახსოვთ კიდეც ამა წლის 8 ივნისის „ახალგაზრდა ეროელის“ პირველი გვერდი. ჩვენ ვეცადეთ არატრაფარეტულად გაგვეზუქებინა ჩვენი ერისთვის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა — ხაოველთაო და ფარული კენჭისყრით არჩეული საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტო ფიცი. სხვა საქმეა, როგორი გამოგვივიდა ჩანაფიქრი, ამას თავად მკითხველი განსჯის, მაგრამ ჩვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა გაზეთ „საქართველოს კოოპერატორის“ 14 ივნისის ნომერი. ამ რედაქციამ შეუთანხმებლად მითვისა ჩვენი ჩანაფიქრი, შრომა და ახე წარუდგა თავის მკითხველს.

შეიძლება უხერხულიც კი იყოს ახლა ამაზე საუბარი, მაგრამ მოურუებაც რომ ძნელია, რედაქციასთან შეთანხმებას ელემენტარული კოლეგიალობა, ეურნალისტური ეთიკა მოითხოვდა. უველაფერს რომ თავი დავანებოთ, დაერეკათ მაინც.

„ახალგაზრდა ეროელის“ რედაქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს საქართველოა

პოლიტიკური პარტიებისა და მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის წესის გამოუქენების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 12 აპრილის № 213-1 დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს დაევალა პოლიტიკური პარტიებისა და მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაცია.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 8 მაისის № 382 დადგენილებით დამტკიცებული იქნა დებულება პოლიტიკური პარტიებისა და მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის წესის შესახებ.

აღნიშნული დებულება განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე პოლიტიკური პარტიებისა და მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების (საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი კავშირები, საზოგადოებრივი მოძრაობები, ფონდები და სხვა) რეგისტრაციის შესახებ განცხადების განხილვის, სარეგისტრაციო გადასახადი თანხის ოდენობის და მისი გადახდის წესს.

აღნიშნული კანონის მოქმედება არ ვრცელდება ორგანიზაციებზე, რომლებიც კომერციულ მიზნებს ისახავენ და რომელთა შექმნის და საქმიანობის წესს განსაზღვრავს სხვა კანონმდებლობა.

არ დაიშვება ისეთი საზოგადოებრივ გაერთიანებათა შექმნა და საქმიანობა, რომლებიც ხელყოფენ მოსახლეობის ჯანმრთელობასა და ზნეობრიობას, მოქალაქეთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს.

საზოგადოებრივი გაერთიანებები იქმნება და მოქმედებს მათ წევრთა (მონაწილეთა) ნებაყოფლობის, თანასწორუფლებიანობის, დამოუკიდებლობის, კანონიერებისა და საჯაროობის საფუძველზე.

საზოგადოებრივ გაერთიანებაში დასაქმებულ მუშაკებზე ვრცელდება შრომის კანონმდებლობა, აგრეთვე მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის კანონმდებლობის მოთხოვნები.

სახელმწიფო უზრუნველყოფს საზოგადოებრივ გაერთიანებათა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვას, კონსტიტუციის შესაბამისად უზრუნველყოფს პირობებს მათ მიერ საწესდებო ამოცანების განხორციელებისათვის.

ახალგაზრდული და სამოყვარულო ორგანიზაციების მიმართ სახელმწიფო შეღავათიან საგადასახადო პოლიტიკას ახორციელებს.

სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების ჩარევა საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობაში, ისევე, როგორც საზოგადოებრივ გაერთიანებათა ჩარევა სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობაში, არ დაიშვება, გარდა შემთხვევებისა, როცა ეს კანონით არის გათვალისწინებული.

პოლიტიკური პარტიების, სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების, ორგანიზაციების საქმიანობა ხორციელდება მათი წევრების (მონაწილეები) არასამუშაო დროს ამ გაერთიანებათა სახსრების ხარჯზე.

საზოგადოებრივ გაერთიანებებს უფლება აქვთ ნებაყოფლობის საწყისებზე ერთიანდებოდნენ საზოგადოებრივ გაერთიანებათა კავშირებად.

საზოგადოებრივი გაერთიანებები იქმნება სულ ცოტა ათი მოქალაქის ინიციატივით.

საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნის ინიციატორები იწვევენ დამფუძნებელ ყრილობას (კონფერენციას) ან საერთო კრებას, რომლებზეც იღებენ წესდებას (დებულებას, სხვა ფუძემდებელ აქტს) და ქმნიან ხელმძღვანელ ორგანოებს. აღნიშნული საერთო კრების ოქმი ან ყრილობის წესდება განცხადებასთან ერთად უნდა წარდგენილ იქნეს იუსტიციის სამინისტროში პოლიტიკური პარტიისა და მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების წესდების რეგისტრაციისათვის.

საზოგადოებრივ გაერთიანებათა წევრები (მონაწილეები) შეიძლება გახდნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, რომლებიც თოთხმეტი წლის ასაკს მიაღწევენ.

პოლიტიკური პარტიებისა და მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების წესდება ითვალისწინებს:

— სახელწოდებას ან მის შემოკლებულ დასახელებას თუ ასეთი გამოიყენება;

— მიზნებსა და ამოცანებს;

— ორგანიზაციულ სტრუქტურას;

— წევრად მიღების და წევრობიდან გასვლის წესს;

— წევრების უფლებებსა და მოვალეობებს;

— საერთო კრების, სხდომის, ყრილობის ან კონფერენციის კომპეტენციას, მათი მოწვევის (მათ შორის რიგგარეშე) წესს;

— ხელმძღვანელი და მაკონტროლებელი ორგანოების კომპეტენციას, მათი არჩევის წესს;

— სახსრების წყაროებსა და მათი გამოყენების წესს;

— წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის წესს, საქმიანობის შეწყვეტის (ლიკვიდაციის) წესს (მათ შორის რეორგანიზაციისა და თვითლიკვიდაციის წესს).

თუ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს რეგისტრაციის შესახებ განცხადებით მიმართეს ერთი და იგივე სახელწოდების პოლიტიკურმა პარტიამ, ან მოქალაქეთა საზოგადოებრივმა გაერთიანებამ, უპირატესი უფლება წესდების რეგისტრაციისას მიეცემა იმ ორგანიზაციას, რომელიც შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 8 მაისის № 382 დადგენილებით დამტკიცებული დებულების სამოქმედოდ შემოღებამდე, ადრე მოქმედი კანონის შესაბამისად. სხვა შემთხვევაში კი უპირატესობა მიენიჭა იმ ორგანიზაციას, რომელმაც სხვაზე ადრე მიმართა განცხადებით წესდების რეგისტრაციის თაობაზე.

პოლიტიკური პარტიებისა და მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების განცხადებებს წესდებათა რეგისტრაციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო განიხილავს მისი შემოტანიდან 2 თვის ვადაში.

განხილვის შედეგად მიიღება შემდეგი გადაწყვეტილებები:

ა) წესდების რეგისტრაციის შესახებ;

ბ) წესდების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ;

გ) განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

გადაწყვეტილების თაობაზე 5 დღის ვადაში წერილობით ეცნობება განმცხადებელს.

პოლიტიკური პარტიებისა და მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების წესდებების რეგისტრაციისათვის გადასახადი თანხა განისაზღვრება:

1. პოლიტიკური პარტიებისათვის — 3000 მანეთის ოდენობით.
2. მოქალაქეთა რესპუბლიკური და რეგიონალური საზოგადოებრივი გაერთიანებებისათვის — 4000 მანეთის ოდენობა.
3. მოქალაქეთა საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის — 5000 მანეთის ოდენობით.

ინვალიდთა, ქალთა, ვეტერანთა, ახალგაზრდების, ბავშვთა და საქველმოქმედო მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის შესახებ მოწმობების გაცემისათვის დადგენილი თანხა მცირდება 50%-ით.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით, უფლება აქვს შეუმციროს გადასახადის ოდენობა მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებებს მათი წესდებების რეგისტრაციისათვის.

პოლიტიკური პარტიისა და მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების წესდებებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანისათვის სარეგისტრაციო გადასახადის გადახდა ხდება წესდების რეგისტრაციისათვის გადახდილი თანხის 50%-ის ოდენობით.

რეგისტრაციის მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში მისი დუბლიკატის გაცემისათვის გადაიხდება თანხა სარეგისტრაციოდ გადასახდელი თანხის 10%-ის ოდენობით.

პოლიტიკური პარტიისა და მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების წესდების რეგისტრაციის შემთხვევაში განმცხადებელს მიეცემა დადგენილი ნიმუშის რეგისტრაციის მოწმობა, შესაბამისი სარეგისტრაციო ნომერი და შეტანილი იქნება საგადასახადო დავალება ბანკის აღნიშვნით, რომელიც ამტკიცებს ასეთი თანხის გადახდას.

წესდების რეგისტრაციის შემდეგ, ბანკში საანგარიშსწორებო ანგარიშის გახსნის დღიდან, პოლიტიკური პარტია და მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება წარმოადგენს იურიდიულ პირს, აქვს განცალკევებული ქონება, შეუძლია თავისი სახელით მოიპოვოს ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი უფლებები და იკისროს მოვალეობანი.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება წესდების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, პოლიტიკურ პარტიას, მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებას შეუძლია გაასაჩივროს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში, რომელიც საქმეს განიხილავს ათი დღის ვადაში განსაკუთრებული წესით.

თუ პოლიტიკური პარტია და მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება გადაუხვევს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნას, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს შეუძლია გააუქმოს თავის გადაწყვეტილება ამ ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ. ეს გადაწყვეტილებაც შეიძლება გასაჩივრდეს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში იგივე წესით.

მარინე ქიტიაშვილი,
საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მე-2 კატეგორიის კონსულტანტი.

საერთაშორისო რეპორტაჟი

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩეულია ბორის ელცინი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემებით, მას ხმა მისცა ამომრჩეველთა 60 პროცენტზე მეტმა, ამასთან, მოსკოვში მან მიიღო ხმების 62 პროცენტი, ლენინგრადში 67 პროცენტი. ჯერჯერობით არ არის ცნობილი 5 დანარჩენი კანდიდატის შედეგები. დამოუკიდებელი საბჭოს საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ბ. ელცინის ყველაზე რეალური მეტოქე ნ. რიჟკოვი მიიღებს ამომრჩეველთა ხმების დაახლოებით 15 პროცენტს.

მოსკოვის მერად არჩეულია გავრილ პოპოვი, ლენინგრადის მერად — ანატოლი სობჩაკი, ამასთან, ლენინგრადელთა უმრავლესობამ ხმა მისცა ქალაქისათვის ძველი სახელწოდების — სანკტ პეტერბურგის დაბრუნებას. თუმცა კომპარტიას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმედი, რომ შეძლებს ქალაქის ახლანდელი სახელის შენარჩუნებას, სახელის დარქმევის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ ჩატარებულ რეფერენდუმს არა აქვს იურიდიული ძალა და ეს საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს საკავშირო სახალხო დეპუტატთა ყრილობამ. ქალაქის ხელისუფალნი კი უკვე განიხილავენ სახელის შეცვლასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ პრობლემებს. ვარაუდობენ, რომ ლენინგრადისათვის ძველი სახელწოდების დაბრუნებას დასჭირდება დაახლოებით 10 წელიწადი და 10 მილიონ მანეთზე მეტი.

●

თეთრი სახლი მიესალმა ბ. ელცინის არჩევას რუსეთის პრეზიდენტად როგორც ისტორიულ მოვლენას არა მარტო რუსეთის ხალხებისათვის არამედ მთელი საბჭოთა კავშირისათვის და 20 ივნისს მოიწვია იგი ვაშინგტონში პრეზიდენტ ჯ. ბუშთან შესახვედრად. თეთრი სახლის წარმომადგენელმა მ. ფიცუოტერმა განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს სურს ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის ლიდერთან და ამ რესპუბლიკებში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერა.

გერმანიის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში ბ. ელცინმა კმაყოფილება გამოთქვა მისი ვაშინგტონში მიწვევის გამო და აღნიშნა, რომ სურს პირდაპირი, ფართო კონტაქტების დამყარება რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

●

პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომლის თანახმად, 14 ივნისი შეერთებულ შტატებში გამოცხადებულია ბალტიისპირეთის თავისუფლების დღედ. ამასთან დაკავშირებით თეთრ სახლში გამართულ ცერემონიაზე ბუშმა თქვა, რომ აშშ არასოდეს არ ცნობდა ბალტიის რესპუბლიკების ანექსიას საბჭოთა კავშირის მიერ და მოუწოდა მოსკოვს, დაიწყოს ნოლაპარაკება მათი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე. ამასთან პრეზიდენტმა შეშფოთება გამოთქვა საბჭოთა ხელისუფლების ამასწინანდელი აქციების გამო ლიტვისა და ლატვიის სასაზღვრო პუნქტებზე და დაარწმუნა ცერემონიაზე მყოფი ბალტიის ქვეყნებიდან გამოსული ამერიკული სათვისტომოების წარმომადგენლები და ამერიკის კონგრესის ლიდერები, რომ უახლოეს მომავალში უფრო მჭიდრო კონტაქტებს დაამყარებს ბალტიის რესპუბლიკების ლიდერებთან და მათი დამოუკიდებლობის საკითხს შეიტანს დღის წესრიგში გორბაჩოვთან შეხვედრაზე.

●

ლატვიამ და პოლონეთმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელშიც ეს ორნი აცხადებენ, რომ განაახლებენ დიპლომატიურ ურთიერთობას, როგორც კი ამისათვის შესაფერისი მომენტი დადგება. დეკლარაცია მიიღეს ლატვიის პრემიერის ი. გორდმანისს და საგარეო საქმეთა მინისტრის ი. იურკანსის პოლონეთში ვიზიტის დროს. ი. იურკანსის შეფასებით, ეს დეკლარაცია მნიშვნელოვანი ნაბიჯია ლატვიის მიერ სრული დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე.

●

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჯონ მეიჯერმა ოფიციალურად მიიწვია გორბაჩოვი „დიდი შვიდეულის“ ლიდერებთან შესახვედრად მათი თათბირის დამთავრებისთანავე. შეგახსენებთ, რომ „დიდი შვიდეულის“ ეკონომიკური თათბირი 15-დან 17 ივლისამდე ჩატარდება ლონდონში.

ბი-ბი-სის აზრით, ამ შეხვედრაზე საბჭოთა ლიდერი არ მიმართავს „შვიდეულს“ ფართო მასშტაბის პირდაპირი ფინანსური დახმარების თხოვნით, ასეთ დახმარებას, მას ალბათ, არც გაუწევენ. მ. გორბაჩოვის ვიზიტის მთავარი მიზანი იქნება, მიაღწიოს, საბჭოთა ეკონომიკის ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკასთან, საბჭოთა კავშირისათვის ტექნიკური დახმარების გაწევას და ნებართვას, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუშაობაში.

ირინა თევდორაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოკონკურსი

ბავშვები, ბუნება, მშვიდობა



1. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ემბლემა ფოტოკონკურსის ემბლემაც იყო (ავტორი ჯანო მიქელაძე).

2. „ბიჭუნა" — III პრემია. ვლადიმერ კორობოვი (მაგნიტოგორსკი).

3. „შემოდგომა ბალტიისპირეთში" — III პრემია. ედმუნდს დობელისი (ლიეპაია, ლატვია).

4. „გვალვა" — III პრემია. ლეონას გრუბინსკასი (პანევეჟისი, ლიტვა).

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. № 63, 66. 68).





მატარებელშა კი ჩაიარა

ბაშკირეთის მოქალაქემ მ. კაბუჩაევმა მიმართვა გაუგზავნა ერთდროულად ორი რესპუბლიკის — ბაშკირეთისა და თათრეთის მოქალაქეებს, დახმარებოდნენ... დაკარგული ფეხსაცმლის პოვნაში.

საქმე ისაა, რომ ყაზან-უფას მატარებლით მგზავრობისას დანიშნულების ადგილზე ჩასულმა კაბუჩაევმა სიბნელეში შემთხვევით ერთი თავისი და ერთი მის კუპეში მყოფი მგზავრის ფეხსაცმელი ჩაიცვა.

ახალი ფეხსაცმლის ძებნაში უშედეგოდ რომ შემოიარა ყველა მაღაზია, კაბუჩაევი დაჯდა, დაწერა და გაზეთის მეშვეობით თხოვნით მიმართა ადამიანებს, დახმარებოდნენ... კუპის მეზობლის პოვნაში („სელსკაია ჟიზნ" №114).

მომავალი ბავშვი... 2 წლისაა

ალბათ, ძნელად თუ იფიქრებდა ნამიბიელი ბეატრა ლაზარუს შიკონგო, რომ გათხოვების შემდეგ მისი სახელი სამედიცინო მეცნიერების ისტორიაში და ერთდროულად გინესის რეკორდების წიგნშიც შევიდოდა. საქმე ისაა, რომ ბეატრა 1989 წლის ივნისიდან დღემდე... ფეხმძიმედაა.

ბავშვის დაბადების დრო რომ დადგა, ექიმებმა გადაიღეს რენტგენის სურათი, რომელმაც აჩვენა, რომ ნაყოფი ზრდას აგრძელებდა და ჯერჯერობით ოდნავ ჩამორჩებოდა საერთოდ ნაყოფის ზრდის ბუნებრივ ტემპებს. ფეხმძიმობის ორი წლისთავზე კი გაოცებულმა სპეციალისტებმა დაადასტურეს, რომ ბავშვი ცოცხალია, თუმცა ამ მოვლენის კომენტარისგან ყველამ თავი შეიკავა („მედიცინსკაია გაზეტა" № 24).

სხვა გაზეთებიდან

ანი მლოცველი და... ერთი წრუწუნა

ეგვიპტური „ბოინგ-734", რომელიც დადგენილ დროს და ყოველგვარი გართულებების გარეშე გამოფრინდა ალექსანდრიიდან და რომელსაც ასი მუსულმანი მლოცველი მიჰყავდა მექაში, კინაღამ იმსხვერპლა ერთმა... წრუწუნამ. აფრენიდან სულ ცოტა ხანში თვითმფრინავმა წონასწორობა დაკარგა. შეშფოთებულმა ბორტგამცილებელმა მფრინავს აცნობა, რომ მგზავრების ტალღა ერთი სალონიდან მეორეში აწყდება კედლებს და უშედეგოდ ცდილობს სალონში საიდანღაც შეპარული წრუწუნას დაჭერას. მგზავრთა დაშოშმინება ვერაფრით მოხერხდა და მფრინავი იძულებული გახდა თვითმფრინავი კაიროში დაესვა. იქ მლოცველები სხვა თვითმფრინავში გადასხეს. „ბოინგის" „უბილეთო მგზავრის" შესახებ კი, ვინც ამდენ მლოცველს გაუმრუდა გზა, არაფერს იტყობინებიან („პრავდა", № 140).

განცხადება

ა. წ. 17 ივნისს, ორშაბათს, 18 საათზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების, მონარქისტული პარტიისა და „დემოკრატიული ტრიბუნის" ინიციატივით გაიმართება მიტინგი მიძღვნილი საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით. მიტინგზე მოწვეულ იქნებიან ყველა პარტიების და ორგანიზაციების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ყოფილი პრეზიდენტობის კანდიდატები.

მიტინგი შედგება კინოს სახლთან. გთხოვთ, მობრძანდეთ.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; ილია ჭავჭავაძის საზოგადოება; მონარქისტული პარტია; „დემოკრატიული ტრიბუნა".

„აიეტი" — ბუნების ქომაგი

ზამთრის მიწურულს საქართველოს სახალხო ფრონტთან არსებულმა საქართველოს ზღვისპირეთის დამცველთა ასოციაცია „აიეტმა" გამოაცხადა ბავშვთა პლაკატების რესპუბლიკური კონკურსი თემაზე: ზღვისპირეთის ყოფითი და ბუნებრივი გარემოს დაცვა.

ასოციაციის წინადადებას უამრავი ნორჩი ბუნების ქომაგი გამოეხმაურა. არ დარჩენილა საქართველოს თითქმის არც ერთი კუთხე, რომლიდანაც მოზარდებს საკუთარი შემოქმედება არ გამოეგზავნათ „აიეტისთვის". და აი, მაისის შუა რიცხვებში, სახალხო ფრონტის შტაბ-ბინის არცთუ ისე ვრცელი დარბაზის კედლები დაიფარა ფერადი პლაკატებით, გულმოდგინედ, აზრიანად მონდომებით შესრულებული სხვადასხვა ზომის სურათებით. 91-მა ბავშვმა წარმოადგინა 100 ნამუშევარი. ყველა ისინი დაშიფრული იყო და ჰქონდა მხოლოდ სარეგისტრაციო ნომერი.

... მართლაც, საოცრად ძნელი აღმოჩნდა საუკეთესოს გამორჩევა. შავი ზღვისა თუ საერთოდ, საქართველოს ეკოლოგიის კატასტროფული მდგომარეობით გამოწვეული გულწრფელი შეშფოთება და სინანული იკითხებოდა ყოველ მათგანში, ბავშვური უსაზღვრო ფანტაზია ასე რომ განასხვავებდა ერთს მეორისაგან და ინდივიდუალურს ხდიდა ყოველ პლაკატს. „გაუფრთხილდით ზღვას!", „შეჩერდით!", „დაიცავით ის, რაც დაგვრჩა!" — გვაფრთხილებენ და მოგვიწოდებენ პატარები და შეუძლებელია ემოციების გარეშე ჩაუარო სახალხო ფრონტის შტაბ-ბინის აფერადებულ კედლებს, შეუძლებელია არ გაიგო ამღვრეული შავი ზღვის ტალღების ხმა, შეშინებული დელფინების ჰყლოპინი, გაჩეხილი ტყის კვნესა... არა, ეს პატარა, შეუმჩნეველი დარბაზი აუცილებლად უნდა ნახოს ყველამ...

კონკურსის ჟიურიმ, რომელსაც თავმჯდომარეობდა სსფ-ს წევრი, თბილისის სამხატვრო აკადემიის დიზაინის კათედრის პედაგოგი, ბატონი გიორგი ცხოვრებაძე, და რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: თბილისის სამხატვრო აკადემიის გამოყენებითი გრაფიკის კათედრის გამგე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, დოცენტი ზურაბ ფორჩხიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურული გეგმარების კათედრის დოცენტი იური გეგელია, თბილისის 53-ე სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლეები — „აიეტის" წევრები მარიამ ქორიძე, ლია შავიშვილი და მარიამ ბარნოვი, პრემიები ასე გაანაწილა:

პირველი პრემია არავის მინიჭებია;

ორი მეორე პრემია მიენიჭათ იანა ვაშაკიძეს და ოთარ ბოჭორიძეს, რომლებიც დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და 400-400 მანეთით;

მესამე პრემია მიენიჭა მამუკა ტატიშვილს და გადაეცა დიპლომი და 300 მანეთი.

წამახალისებელი ჯილდოები გადაეცათ: ლ. ონიანს, გ. ბიგვავას, ნ. ჩხეტიანს, ზ. მაისურაძეს, ა. კარაგეზოვას, თ. ვაჭარაძეს, ი. სტეფანიანს, ლ. მარგალიტაშვილს, ავტორს (რომელიც გვარს არ ასახელებს) რუსთავიდან.

ყველაზე უმცროს მონაწილეს — ხუთი წლის თეონა კასრაძეს გადაეცა სპეციალური პრიზი.

კონკურსის ყველა მონაწილე მიიღებს „აიეტის" მადლობის წერილს და საჩუქრებს (საქართველოს ისტორიისა და არქიტექტურის ძეგლების რუკა, საქართველოს დროშებისა და გერბების კრებული, საქართველოს მეფეების ნუსხის ამსახველი პლაკატები და სხვა).

ჟიურის გადაწყვეტილებით განზრახულია კონკურსზე წარმოდგენილი ნამუშევრები გამოიფინოს თბილისის რომელიმე საგამოფენო დარბაზში ან გალერეაში.

თინათინ თათიკაშვილი

ფინასფარ

ამბობენ შეკვეთებით ობიექტური სრული თუ სამართალი წარმოებისთვის. 1989 წლის 31 ივნისს სრულიად საქართველოს რესპუბლიკის საზოგადოებამ მთელი დადგენილება: „შეიქმნას რესპუბლიკის სახელმწიფოს ამბენ სახალხო ფინანსური ინსპექციის ბალანსი წარმოებული ბანკი ან ბანკიანი ფინანსური ინსტიტუტების ფიზიკურ ან ფინანსურ ანგარიშებზე ფიზიკურ ან ფინანსურ ანგარიშებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ფეხბურთელები შვეციაში

უპირს ქართულ ფეხბურთს... რამდენიც არ უნდა ვიძახოთ ქართული ფეხბურთის დონე ამაღლდაო (რაც, სამწუხაროდ, სინამდვილეს არ შეეფერება), ვერანაირი შვება ვერ იქნება იზოლაციაში მყოფი სპორტის ამ უპირველესი სახეობის გულშემატკივართათვის. დიახ, იზოლაციაში არის ამჟამად ქართული ფეხბურთი და თუ ახლო მომავალში რაიმე სასიკეთო ძვრები არ გამოჩნდა, შედეგი, ვფიქრობთ, ფრიად სავალალო იქნება...

ეს რომ ასე არ შოხდეს და სანამ საერთაშორისო თამაშების ჩატარების უფლებას მივიღებთ (არ არის ლაპარაკი ფიფაში გაწევრიანებაზე), ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი, რომ ქართველმა ფეხბურთელებმა (ვინც იმსახურებს, რა თქმა უნდა) სხვადასხვა ქვეყანაში მოსინჯონ თავიანთი ოსტატობა. ამით, პირველ რიგში, ისინი თავიანთი პროფესიონალური მომზადების გაუმჯობესებისთან ერთად (რომ აღარაფერი ვთქვათ პირადი და მშობლიური კლუბისათვის „სასარგებლო“ კონტრაქტებზე) უკეთ გაეცნობიან ევროპულ ფეხბურთს და მათი კარგი თამაში (ამაში კი დარწმუნებული ვართ) ხომ ერთგვარი სარკეც იქნება ქართული ფეხბურთისა.

დიახ, დარწმუნებული ვართ, რომ გია გურულიც და სოსო ჰედიაც, რომლებიც, როგორც გულშემატკივრებმა ფიცი, წლევანდელი წლის დასაწყისიდან უცხოეთის კლუბებში გამოდიან, თავის წვლილს შეიტანენ ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ. გია გურული, საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, პოლონეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის — კატოვიცეს „გკს“-ს ღირსებას იცავს (სხვათა შორის, ამას წინათ გაზეთ „სარბიელში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ გია გურულთან, რომელიც, ვფიქრობთ, ბევრს დააინტერესებს). რაც შეეხება თბილისის „იბერიის“ მეორე წამყვან ფეხბურთელს და კაპიტანს სოსო ჰედიას, ის ამჟამად საკმარდ წარმატებით თამაშობს შვეციის პირველი ჯგუფის დებიუტანტის „სუნდსვალის“ ძირითად შემადგენლობაში. რა თქმა უნდა, „სუნდსვალი“ არ არის იმ კლასის გუნდი, როგორებიც არიან მისი მეტოქეები შვეციის ეროვნულ ჩემპიონატში — „მალმიო“, „გიოტებორგი“, „ნორჩეპინგი“ და სხვა, მაგრამ, ალბათ, სულ მალე „სუნდსვალი“ მაღალ ამოცანებსაც დაისახავს. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ სოსო ჰედიას სულ რამდენიმე დღეში გვერდს დაუმშვენებს კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი, „იბერიის“ წლევანდელი კაპიტანი, საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მცველი კახი ცხადაძე.

...დარწმუნებული ვართ, რომ ქართულ ტანდემს შვეციაში წარმატება და აღიარება შეხვდებათ, სხვანაირად ვერც წარმოგვიდგენია. თუმცა, ჰვდია და ცხადაძე პირველი ქართველი ფეხბურთელები არ არიან, ვინც შვეციაში გამოდიან. გავიხსენოთ — ჯერ იყო და რამაზ შენგელია-თენგიზ სულაქველიძის „წყვილი“ აღმოჩნდა „ჰოლმსუნდში“, შემდეგ მათი ადგილი ზაურ სვანაძემ და მერაბ მეგრელაძემ დაიკავეს და აი, ახლა კიდევ ორი ქართველი ფეხბურთელი ითამაშებს შვეციის ეროვნული ჩემპიონატის პირველ ჯგუფში — თბილისის „იბერიის“ ბოლო დროის ორი კაპიტანი — სოსო ჰედია და კახი ცხადაძე.

...მთლიანობაში, შვედური ფეხბურთი საკმაოდ მაღალი რეპუტაციით სარგებლობს მთელს მსოფლიოში და ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ვარსკვლავების სიმრავლითაცაა გამოწვეული. ყველაზე დიდი მიღწევა კი შვეციის ნაკრებს ჰქონდა 1958 წელს, როდესაც მათ მხოლოდ ფინალში დათმეს შეხვედრა ბრაზილიელებთან მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. ჰამრინი, სკოგლუნდი, გუსტაფსონი, გრენი, ლინდჰოლმი — აი, ის ბრწყინვალე შვედი ფეხბურთელები, რომლებიც იმ დროისათვის იტალიისა თუ ევროპის სხვა წამყვანი ქვეყნების პირველობებში თამაშობდნენ და ასე გრძელდება დღემდეც — თითქმის ყველა უძლიერესი შვედი ფეხბურთელი საზღვარგარეთის წამყვან კლუბებში გამოდის. თუმცა, სანამ ახლანდელ შვედ ვარსკვლავებზე ვისაუბრებდეთ, არ შეიძლება, არ გავიხსენოთ 70-იანი წლების შუა პერიოდის შვეციის ნაკრები, რომელშიც მრავალი ევროპული კლასის ვარსკვლავი თამაშობდა: მეკარე — რონი ჰელსტრიომი, მცველი — ბიორნ ნორდკვისტი, ნახევარმცველები — კენი ტორტენსონი და ანდერს ლინდეროტი, თავდამსხმელები — რალფ ედსტრიომი, თომას სანდბერგი და ბენი ვენდტი.

ძალზე ძლიერი შემადგენლობით წარსდგა შვეციის ნაკრები შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზეც, მაგრამ სწორედ ისინი გახდნენ ყველაზე დიდი სენსაციის ავტორები. დიახ, გუნდს, რომელსაც ძალიან ბევრი სპეციალისტი ხუთეულში მოხვედრას უწინასწარმეტყველებდა, სრული ფიასკო მოუხდა. არავინ ელოდა თუ შვეციის ნაკრები ქვეჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდოდა. არადა, გუნდში ამ დროს მრავალი მაღალი კლასის შემსრულებელი თამაშობდა: მცველები — გლენ ჰიუსენი („ლივერპული“, ინგლისი) და პეტერ ლარსონი („აიაქსი“, ჰოლანდია), ნახევარმცველები — გლენ სტრომბერგი („ატალანტა“, იტალია), იონას ტერნი („ბენფიკა“, პორტუგალია) და ანდერს ლიმპარი („კრემონეზე“, იტალია); თავდამსხმელები — მატს მაგნუსონი („ბენფიკა“, პორტუგალია), ჯონი ეკსტრიომი („კანი“, საფრანგეთი) და სტეფან პეტერსონი („აიაქსი“, ჰოლანდია). ერთადერთი ფეხბურთელი, ვინც მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში დაგვამახსოვრა თავი შვეციის ნაკრებიდან, იყო 20 წლის ფორვარდი თომას ბრიოლინი, რომელიც ამჟამადაც შესანიშნავ ფორმაში იმყოფება და თანაგუნდელებთან ერთად ემზადება 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირისათვის, რომელიც, როგორც იცით, შვეციაში უნდა გაიმართოს.

ახლა კი, ალბათ, დროა, ისევ ქართულ ტანდემს დავუბრუნდეთ და გვინდა „ახალგაზრდა ივერიელის“ მკითხველს შევთავაზოთ პუბლიკაცია, რომლის ავტორია შვედი ჟურნალისტი პელე ენბერგი და რომელიც დაბეჭდილია 1991 წლის 20 თებერვლის გაზეთ „დაგბლადეტში“. ეს პუბლიკაცია, რომელიც ეხება სოსო ჰედიასა და კახი ცხადაძეს, თარგმნა **შვედური ენის სპეციალისტმა, ჭალბატონმა მაია უნანფქოშვილმა**, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

„სუნდსვალის“ მწვრთნელი შეწუხებულია...

რატომ აყოვნებს კახას?

სოსო აქ არის... ორშაბათს საღამოს სუნდსვალში ჩამოვიდა ქართველი ფეხბურთელი სოსო ჰედია.

კახა აქ არ არის. რატომ აყოვნებს ივნისის ბოლომდე „სუნდსვალის“ ახლად შეძენილი მოთამაშე?

ერთი ქართველი უკვე ჩამოვიდა

— მაგრამ რატომ არ ჩამოვიდა კახა ცხადაძე?

— რატომ აყოვნებს იგი ზაფხულის ბოლომდე?

ეს არის კითხვები, რომლებიც აწუხებს „გიფ სუნდსვალის“ ხელმძღვანელობას.

—რაც მალე ჩამოვა კახა, ეს მით უკეთესი იქნება მისთვისაც და ჩვენთვისაც — ამბობს მწვრთნელი იან მატსონი.

ორშაბათს, გვიან საღამოს, სუნდსვალში ჩამოვიდა სოსო ჰედია. პირველი ქართველი ფეხბურთელი ადგილზეა. იგი მოათავსეს ბინაში, რომელიც მდებარეობს „სუნდსვალის“ მეპატრონის — დინო კოზმის მახლობლად.

— ჩვენ ასე გადავწყვიტეთ, რათა სოსოს დინოსთან უპრობლემოდ შეეძლოს შეხვედრა და რათა უკეთ შეძლოს აკლიმატიზირება ქალაქში — ამბობს „სუნდსვალის“ მწვრთნელი იან მატსონი.

მეორე ქართველ ფეხბურთელს, კახა ცხადაძეს, კი ელოდებიან...

იგი აყოვნებს

უკანასკნელი ცნობების მიხედვით, „კახა ცხადაძე, თბილისის „დინამოს“ (**შვეციაში, ალბათ, ისევ „დინამოთი“ „ახსენებენ „იბერიას“** — რედ.) ვარსკვლავი, ალბათ, ივნისის ბოლომდე არ ჩამოვა სუნდსვალში.

ეს ძალიან გვიან არის, თვლის „გიფ სუნდსვალის“ ხელმძღვანელობა.

— ჩვენ იგი ახლა გვჭირდება, ნაწილობრივ მისი და, აგრეთვე, ჩვენი ინტერესებიდანაც გამომდინარე. თუ კახა ივნისში ჩამოვა, მას გარკვეული პრობლემებიც შეექმნება. სულ სხვა გარემოში მოხვდება, ცალკე აკლიმატიზაცია და თანაც ჩვენ უკვე შვეციის ჩემპიონატში ათიოდე შეხვედრის გამართვასაც მოვასწრებთ...

გადაწყვეტილება უკვე მიღებულია

თვითონ კახას ახლავე სურს ჩამოვიდეს შვეციაში, მაგრამ თბილისში გულშემატკივრები მოითხოვენ მის დარჩენას.

არის ერთი მომენტიც — საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აღარ ემორჩილება საკავშიროს და ამიტომაც ქართველ ფეხბურთელთა უცხოეთის კლუბებში გადმოსვლა ძალიან ბევრ სიძნელეებთანაც არის დაკავშირებული.

როგორც ჩვენ შევიტყვეთ, კახა ცხადაძეს მოწვევა ჰქონდა საბჭოთა კავშირის ნაკრებიდან, მაგრამ კახა ქართველია და უარი განაცხადა. საერთოდ, „გიფ სუნდსვალში“ კახა ცხადაძეს ძალიან დიდი შანსი ეძლევა, რომ საერთაშორისო ვარსკვლავი გახდეს...

●

ხედავთ, პატივცემულო მკითხველო, რა მოლოდინი ჰქონიათ „გიფ სუნდსვალის“ ხელმძღვანელობას. ისე, მთლად ნაწყენი არ უნდა დარჩენ — ივნისის ბოლო რიცხვების მაგივრად კახი ცხადაძე 6 ივნისს უკვე სუნდსვალში იყო. 9 ივნისს მისი დებიუტიც უნდა შემდგარიყო შვეციის ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთ-ერთი ვარჯიშის დროს მცირე ტრავმა მიიღო... საბედნიეროდ, როგორც შევიტყვეთ, ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და კახი ცხადაძე, ალბათ, სულ მალე ჩადგება მწყობრში და ამოუდგება მხარში სოსო ჰედიას, რომელიც უკვე საკმაოდ შინაურულად გრძნობს თავს სუნდსვალში...

დასასრულ, ქართული ფეხბურთის გულშემატკივრების სახელით კიდევ ერთხელ ვუსურვოთ წარმატება სოსო ჰედიასა და კახი ცხადაძეს შორეულ შვეციაში და, ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ (შეძლებისდაგვარად) მოგაწვდით ახალ-ახალ ინფორმაციას მათ შესახებ.

მოამზადა ბია ბუხაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებები

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

აცხადებს მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის წარმოებისგან მოწვეებით შემდეგ სპეციალობებსა და სპეციალიზაციებზე:

სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი:

ფერწერა (სპეციალიზაცია: დაზგური და მონუმენტური ფერწერა, თეატრალურ-დეკორაციული ფერწერა, დაზგური და მონუმენტური ფერწერის რესტავრაცია, კედლის და ტელევიზიის მხატვრობა), გრაფიკა (სპეციალიზაცია: დაზგური გრაფიკა, მულტიპლიკაციური ფილმების სახვითი გადაწყვეტა), ქანდაკება.

არქიტექტურის და ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი:

სამოქალაქო არქიტექტურა, არქიტექტურული ძეგლების რესტავრაცია; ლანდშაფტის არქიტექტურა; ქალაქის, სოფლისა და საპარკო კომპლექსების მხატვრულ-არქიტექტურული გაფორმება. მონუმენტური დეკორატიული ხელოვნება: მონუმენტურ-დეკორატიული მოხატვა; არქიტექტურულ-დეკორატიული პლასტიკა. ხელოვნების ისტორია და თეორია.

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი:

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება (სპეციალიზაცია: მხატვრული კერამიკა, მხატვრული მინა, ლითონისა და სხვა მასალათა მხატვრული ნაკეთობანი, გამოყენებითი გრაფიკა), ინტერიერი და მოწყობილობა (სპეციალიზაცია: ინტერიერის პროექტირება, ავეჯის პროექტირება, ავეჯის დეკორატიული ქსოვილები); დიზაინი; საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის მხატვრული პროექტირება (სპეციალიზაცია: ტანსაცმლის მხატვრული პროექტირება, ტრიკოტაჟის ნაწარმის მხატვრული პროექტირება, ტყავგალანტერეის ნაწარმისა და ფეხსაცმლის მხატვრული პროექტირება).

სამხატვრო აკადემიაში მისაღები გამოცდები ტარდება სპეციალობებისა და სპეციალიზაციების მიხედვით.

სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ყველა სპეციალობასა და სპეციალიზაციაზე შემსვლელნი აბარებენ შემდეგ გამოცდებს:

დაზგური და მონუმენტური ფერწერა: 1. „ტორსი“ (ტილო, ზეთი), 2. „რთული ნატურმორტი“ (ტილო, ზეთი) 3. „შიშველი ფიგურა“ (ხატვა), 4. კომპოზიცია მოცემულ თემაზე (ტილო, ზეთი), 5. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

დაზგური და მონუმენტური დეკორატიული ფერწერის რესტავრაცია: 1. „ტორსი“ (ტილო, ზეთი), 2. „რთული ნატურმორტი“ (ტილო, ზეთი), 3. „შიშველი ფიგურა“ (ხატვა), 4. მოცემული სურათის ასლი (ტილო, ზეთი), 5. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

თეატრალურ-დეკორაციული ფერწერა: 1. „ტორსი“ (ტილო, ზეთი), 2. „რთული ნატურმორტი“ (ტილო, ზეთი), 3. „შიშველი ფიგურა“ (ხატვა), 4. კომპოზიცია მოცემულ თემაზე (ტილო, ზეთი), 5. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

კინო და ტელევიზიის მხატვრობა: 1. „ტორსი“ (ტილო, ზეთი), 2. „რთული ნატურმორტი“ (ტილო, ზეთი), 3. „შიშველი ფიგურა“ (ხატვა), 4. კომპოზიცია მოცემულ თემაზე სპეციალობის მიხედვით (ტილო, ზეთი), 5. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

გრაფიკის სპეციალობა: დაზგური გრაფიკის სპეციალობაზე შემსვლელნი აბარებენ: 1. „ჩაცმული ფიგურა“ (წყლის საღებავები), 2. „შიშველი ფიგურა“ (ხატვა), 3. „ცოცხალი მოდელის თავი“ (ხატვა), 4. კომპოზიცია მოცემულ თემაზე (ფანქარი, ტუში, წყლის საღებავები), 5. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

მულტიპლიკაციური ფილმების სახვითი გადაწყვეტა: 1. „ტორსი“ (წყლის საღებავები), 2. „რთული ნატურმორტი“ (წყლის საღებავები), 3. „შიშველი ფიგურა“ (ხატვა), 4. კომპოზიცია მოცემულ თემაზე (ქაღალდი, ტუში, აქვარელი), 5. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

ქანდაკება: 1. „ცოცხალი მოდელის თავი“ (ძერწვა, თიხა), 2. „თაბაშირის თავის ასლი“ (ძერწვა, თიხა), 3. „შიშველი ფიგურა“ (ხატვა), 4. კომპოზიცია მოცემულ თემაზე (ძერწვა, თიხა, პლასტილინი), 5. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი:

ყველა სპეციალობასა და სპეციალიზაციაზე შემსვლელნი აბარებენ: 1. „ნატურმორტი“ (წყლის საღებავები), 2. თაბაშირის ფიგურა ან ტორსი (ხატვა), 3. კომპოზიცია სპეციალობის მიხედვით (წყლის საღებავები), 4. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

შენიშვნა: კერამიკის, მინის, ლითონისა და სხვა მასალათა მხატვრული ნაკეთობების სპეციალიზაციებზე შემსვლელნი აბარებენ ფერწერაში მოცემულობას — „ნატურმორტი“ ან ქანდაკებაში მოცემულობას „თაბაშირის თავის ასლი“ (ძერწვა), სურვილის მიხედვით.

არქიტექტურის სპეციალობაზე შემსვლელნი აბარებენ:

1. ხატვა „თაბაშირის თავი“ (ფანქარი), „ნატურმორტი — თავისუფალი კომპოზიცია მოცემულ საგნებისაგან“ (ფანქარი), 2. ფერწერა „ნატურმორტი“ (აქვარელი), იგივე „ნატურმორტი“ (საგნების გადაადგილებით, ორ ფერში), 3. ხაზვა „რთული გეომეტრიული ფიგურების ნახატი“ (ამოცანა შეუღლებაზე, ფანქარი), 4. მათემატიკა (წერა), 5. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნება: მონუმენტურ-დეკორატიული მოხატვის სპეციალიზაციაზე შემსვლელნი აბარებენ: 1. „ნატურმორტი“ (ზეთი ან წყლის საღებავები), 2. „თაბაშირის ფიგურა ან ტორსი“ (ხატვა), 3. „კომპოზიცია“ — სპეციალობის მიხედვით სრულდება მოცემული არქიტექტურული გარემოს გათვალისწინებით, (წყლის საღებავები), 4. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

არქიტექტურულ-დეკორატიული პლასტიკის სპეციალობაზე შემსვლელნი აბარებენ: 1. „თაბაშირის თავის ასლი“ (ძერწვა), 2. „თაბაშირის ფიგურა ან „ტორსი“ (ხატვა), 3. „კომპოზიცია“ — სპეციალობის მიხედვით (ჩანახატი და რელიეფი მასალაში მოცემული არქიტექტურული გარემოს გათვალისწინებით, თიხა, პლასტილინი), 4. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

ხელოვნების ისტორიის და თეორიის სპეციალობაზე შემსვლელნი აბარებენ: 1. ხელოვნების ისტორიაში წერით გამოცდას (რეფერატი დასავლეთ ევროპის ან ქართული ხელოვნების ერთ ფერწერულ ნაწარმოებზე), 2. ხელოვნების ისტორია (ზეპირი), 3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

ყველა სპეციალობასა და სპეციალიზაციაზე (გარდა არქიტექტურისა) ტარდება ჩათვლა საქართველოს ისტორიაში.

შენიშვნა: სამხატვრო აკადემიაში შემსვლელი აბიტურიენტები გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) ჩააბარებენ ტესტებით.

ტესტები შედგენილი იქნება იმის გასარკვევად, თუ როგორ იცის აბიტურიენტმა ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოებები. კითხვებზე (3-5 კითხვა) აბიტურიენტი გასცემს წერილობით პასუხს. ამ პასუხთა სისწორე გამოკვეთს ერთი რომელიმე საკითხის მთლიანობას. მისი შესრულების ხარისხის მიხედვით დაწერება შესაბამისი ნიშანი.

მისაღები გამოცდების დაწყებამდე აბიტურიენტები გაივლიან გასაუბრებას (ცხრილი გამოიკვრება აკადემიაში), რომელზეც მათ უნდა წარმოადგინონ საშინაო ნამუშევრები, აგრეთვე შეასრულონ მოკლევადიანი სამუშაოები: ფერწერისა და გრაფიკის სპეციალობაზე „შიშველი ფიგურის ნახატი“ და „ნატურმორტი“ ფერში, ქანდაკების სპეციალობაზე „შიშველი ფიგურის ნახატი“.

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტზე „თაბაშირის ფიგურის ნახატი“ და „სპეცკომპოზიცია“.

არქიტექტურის სპეციალობაზე გასაუბრება ჩატარდება ტესტირების წესით. ტესტები შედგება სამი ბლოკისაგან: სპეციალური, საერთო საგანმანათლებლო, პროექციული ხაზვა.

სამხატვრო აკადემიაში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან აბიტურიენტები, რომლებიც გამოავლენენ პროფესიულ ჩვევებსა და სათანადო მომზადებას არჩეული სპეციალობის მიხედვით. გასაუბრების შედეგი აბიტურიენტებს ეცნობებათ მეორე დღეს.

საკონკურსო ქულების ჯამში შევა სამხატვრო აკადემიის პროფილით გათვალისწინებულ დისციპლინებსა და ქართულ ენასა და ლიტერატურის (წერა) გამოცდებზე მიღებული ქულები.

განცხადება სამხატვრო აკადემიაში მიღების შესახებ იწერება რექტორის სახელზე სპეციალობის (სპეციალიზაციის) ზუსტი აღნიშვნით და შემდეგი საბუთების დართვით: განცხადება ფორმის მიხედვით, დოკუმენტი (დედანი) საშუალო განათლების შესახებ; სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნების ნუსხით; დახასიათება (რეკომენდაცია) საველიდებულო არ არის; ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან კოლმეურნის წიგნაკიდან, დამოწმებული კადრების უფროსის (ინსპექტორის) მიერ; სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086-უ); ექვსი ფოტოსურათი 3X4); პასპორტს წარადგენენ პირადად.

განცხადებები მიიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, 10 საათიდან 14 საათამდე დღიდან გამოქვეყნებისა 8 ივლისის ჩათვლით. გამოცდები დაიწყება 6 ივლისს.

სამხატვრო აკადემიის მისამართი: 380008, თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 22, ტელ. 93-68-93, 93-68-70, 93-48-64.

მიმღები კომისია

ბაწყოლება

1991 წლის 6 ივნისს „ახალგაზრდა ივერიელის“ ნომერში დაბეჭდილ თბილისის ხულიან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის განცხადებაში, რედაქციისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, გაიპარა შეცდომა. მე-4 პუნქტის პირველი სტრიქონი უნდა აკითხებოდეს: „შრომა (ქართული სექტორი, დღის და დაუსწრებელი განყოფილებები), შემდეგ რიგორც ტექსტშია.

ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

1991 წლის 22 ივნისს, 12 საათზე, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩატარდება „ღია კარის დღე“.

მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებულ საკითხებს აბიტურიენტებს განუმარტავენ ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და მიმღები კომისიის წევრები.

მისამართი: თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა № 1.

რექტორატი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია დამატებით აცხადებს 1991 წლის მისაღებ გამოცდებზე მუსიკოდეგობის ფაკულტეტზე მუს. ფოლკლორის სპეციალობაზე აბიტურიენტთა მიღებას I კურსზე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას.

თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის სწავლების დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილებების შემდეგ სპეციალობებზე (აქვე ეუთითებთ ჩასაბარებელ საგნებს):

ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობა

(სწავლების დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილება).

ა) ქართული ენა და ლიტერატურა — წერა;

ბ) ქართული ენა და ლიტერატურა — ზეპირი;

გ) საქართველოს ისტორია — ზეპირი;

დ) უცხო ენა — ზეპირი.

ისტორიის (საქართველოდმცოდნეობით) სპეციალობა

(სწავლების დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილება).

ა) ქართული ენა და ლიტერატურა — წერა;

ბ) ქართული ენა და ლიტერატურა — ზეპირი;

გ) საქართველოს ისტორია — ზეპირი;

დ) უცხო ენა — ზეპირი.

რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობა ქართული ენა-ლიტერატურით

(სწავლების დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილება).

ა) რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);

ბ) რუსული ენა და ლიტერატურა (ზეპირი);

გ) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

დ) საქართველოს ისტორია (ზეპირი).

ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობა

(სწავლების დასწრებული განყოფილება).

ა) მათემატიკა (წერა);

ბ) მათემატიკა (ზეპირი);

გ) ფიზიკა (ზეპირი);

დ) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

მათემატიკის სპეციალობა ინფორმატიკით და გამოთვლითი ტექნიკით

(სწავლების დასწრებული განყოფილება).

ა) მათემატიკა (წერა);

ბ) მათემატიკა (ზეპირი);

გ) ფიზიკა (ზეპირი);

დ) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობა:

(სწავლების დასწრებული განყოფილება).

ა) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

ბ) გეოგრაფია (ზეპირი);

გ) ბიოლოგია (ზეპირი);

დ) საქართველოს ისტორია (ზეპირი).

დაწყებითი განათლების პედაგოგიკა-მეთოდიკის

(სწავლების დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილება).

ა) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

ბ) ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი);

გ) მათემატიკა (ზეპირი);

დ) საქართველოს ისტორია (ზეპირი).

პედაგოგიკა-ფსიქოლოგია (სკოლამდელი აღზრდა) სპეციალობა

(სწავლების დასწრებული განყოფილება).

ა) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

ბ) ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი);

გ) ბიოლოგია (ზეპირი);

დ) საქართველოს ისტორია (ზეპირი).

თავდაცვითი ფიზიკულტურის სპეციალობა

(სწავლების დასწრებული განყოფილება).

ა) საერთო ფიზიკური მომზადება (ცურვა, მძლეოსნობა, ტანვარჯიში) დაწყებითი სამხედრო მომზადება;

ბ) ბიოლოგია (ზეპირი);

გ) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

ფიზიკური აღზრდის სპეციალობა

(სწავლების დასწრებული განყოფილება).

ა) საერთო ფიზიკური მომზადება (ცურვა, მძლეოსნობა, ტანვარჯიში);

ბ) ბიოლოგია (ზეპირი);

გ) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

მისაღებ გამოცდებზე დაიშვება საშუალო განათლების მქონე ყველა მოქალაქე **განურჩევლად** ასაკისა, გარდა თავდაცვითი ფიზიკულტურის სპეციალობაზე შემომსვლელებისა, რომელთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 25 წელს; ამასთანავე აღნიშნული სპეციალობის აბიტურიენტებს მოხდილი უნდა ჰქონდეთ სამხედრო სავალდებულო სამსახური.

ფიზიაღზრდის სპეციალობაზე შემსვლელთათვის სავალდებულოა არანაკლებ მეორე თანრიგისა სპორტის ნებისმიერ სახეობაში.

ინსტიტუტში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1) განცხადება (დადგენილი ფორმის მიხედვით, რომელსაც აბიტურიენტი მიიღებს მიმღები კომისიის სამდივნოში);

2. საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი;

3. სამედიცინო ცნობა — ფორმა № 086;

4. ექვსი ფოტოსურათი (ზომით 3X4);

5 ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (სტაჟის მქონეთათვის), დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი, ბეჭდით დამოწმებული და რეგისტრირებული;

6. ცნობა დემობილიზაციის შესახებ (დემობილიზებულთათვის);

7. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან (სწავლების დაუსწრებელ განყოფილებაზე შემომსვლელთათვის);

8. პასპორტი (მხოლოდ წარდგენისათვის).

აბიტურიენტთა განცხადებები სათანადო საბუთებთან ერთად მიიღება 25 ივნისიდან 15 ივლისის ჩათვლით, 10 საათიდან 16 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. მისაღები გამოცდები ჩატარდება 17 ივლისიდან ინსტიტუტის მიმღები კომისიის მიერ შედგენილი და დამტკიცებული ცხრილის მიხედვით.

1-დან 15 ივლისამდე ჩატარდება კონსულტაციები ყველა საგამოცდო საგანში.

ჩარიცხვა განხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის განათლების საშინისტროს 1991 წლის 15 აპრილის № 162 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების“ საფუძველზე (იხ. გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 18. 04. 91 წ.).

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ინსტიტუტის მიმღებ კომისიას.

მისამართი: თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა № 1.

მიმღები კომისია

უურადღება!

ღვთისშვილთა კავშირის წევრებს და თბილისში მცხოვრებელ ინვალიდებს!

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) სამედიცინო ცენტრში ვათვალისწინებთ რა ის დიდი გამოხმაურება და მადლობა, რომელიც გამოხატული იყო ხატირისა და იუმორის მინი-თეატრ „ანშლაგი“-ს მიერ ქ. ბორჩხა ჩატარებულ სპექტაკლის გამო, გაუწყებთ, რომ აპრ წლის 18 ივნისს, ბესიკის ქ. № 4-ში, ეროვნული მილიციის კულტურის სასლში ჩატარდება მინი-თეატრ „ანშლაგი“-ს ხატირული სპექტაკლი „ხიცილის ცრემლები“. აღნიშნული სპექტაკლი საქველმოქმედო და საათნასვლის განმავლობაში მოგანიჭებთ ნათელ ღიმილს.

სპექტაკლის დასაწყისი 19 სთ. და 30 წთ-ზე.

ზია ხელაძეველიძე,
სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის ეკონომიკურ-ფინანსური ცენტრის დირექტორი.

ლორძინება ორგო

ეკერდის ხპინსორება ორიან საქველმოქმედო ასოციაციი „ლორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „ორგო“.

საქართველოს რესპუბლიკური საწარმოო ასოციაცია „ კომპლექსი“-ს ფირმა „მამისონი“ გიწვევთ ა.წ. 15 სექტემბრიდან უმაღლესი კომერციული ინგლისურის შესასწავლად. სახელმძღვანელო შესაბამისი ტერმინოლოგიის და სიტყვების ინგლისურ-ქართულ-რუსული განმარტებითი ლექსიკონით მსმენელებს გადაეცემათ სწავლის დაწყების წინ.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დღესდღეობით მხოლოდ ჩვენთან შეგიძლიათ დაეუფლოთ უმაღლეს საერთაშორისო დონეზე კონტაქტების შედგენის, მოლაპარაკების, საქმიანი მიმოწერის, პრეტენზიების, საქონლის მიწოდების და ბიზნესისათვის საჭირო სხვა აუცილებელ დეტალებს..

ვიწვევთ მსმენელებს რომლებიც კითხულობენ და თარგმნიან ინგლისურად ლექსიკონის დახმარებით. სწავლების ხანგრძლივობა 8 თვეა. მეცადინეობის განრიგი შეირჩევა თქვენთან შეთანხმებით. სწავლის ღირებულებაა 3920 მანეთი. უცხოელთათვის 2960 ამერიკული დოლარი ყველა ხარჯის ჩათვლით საქართველოში. თანხის გადახდა შეიძლება როგორც გადარიცხვით, ასევე პირადად. განცხადებები მიიღება ა.წ. 1 აგვისტომდე.

ჩვენი ანგარიშია №000468005 კომერციული ბანკი „თბილისი“, ანგარიში №0001 61 307, კოდი 521 006, სახელმწიფო ბანკის საოპერაციო სამმართველო.

გელით! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

გჯეროდეთ, ჩვენი კურსდამთავრებული სპეციალისტი გარანტიაა თქვენი მომავალი წარმატებული ურთიერთობისა საზღვარგარეთის ფირმებთან.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონებით:

95-93-72; 95-23-72.

მისამართი: ართვინის ქ. №53 (საბჭოს მოდნიდან ასახვევი ხელმარჯვნივ. ავტობუსი №29 ყოფილ კოლმეურნეთა მოედნიდან).

სარეკლამო-სააგენტო
„ორგო-ბლიკი“

მამაკაცთა საყურადღებოდ!

ოჯახური უსიამოვნება, დეპრესია, სასოწარკვეთილება, ხშირად მოსდევს სქესობრივ მოშლილობებს.

თუ გსურთ დაიბრუნოთ რწმენა საკუთარ ძალებში, კვლავ იყოთ ჯანმრთელი, მხნე და შრომისუნარიანი მიმართეთ კოოპერატივ **„კონტაქტს“.**

პატივცემულო მამაკაცებო!

მხოლოდ ჩვენთანაა დანერგილი იმპოტენციის (მამაკაცის სქესობრივი უძლურობა) მკურნალობა ერექტორით-მეთოდით, რომელიც მიუხედავად იმპოტენციის გამომწვევი მიზეზებისა და პაციენტის ასაკისა გამოირჩევა მაღალი შედეგიანობით.

ჩვენთან დანერგილი ლაბორატორიული გამოკვლევები, მკურნალობის კომპლექსურობა (ერექტოროთერაპია, მედიკამენტოზური, პითერაპია, ბიოველი, წერტილოვანი მასაჟი და სხვა) ასევე საშუალებას იძლევა პროსტატის მაღალ შედეგიან მკურნალობაში.

მოგვმართეთ მისამართით: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 49ª, (სპორტსახკომის შენობა) II სართული. ოთახი: 9-10-11. ტელეფონი 22-55-71.

მიღება: სამუშაო დღეებში 19-დან 21 სთ-მდე.
შაბათ-კვირას 10-დან 12 სთ-მდე.
მკურნალობა ანონიმურია.

სარეკლამო სააგენტო
„ორგო-ბლიკი“

კოოპერატივი „ლიკანი“

ყიდის ასლების გადასაღებ ახალ მანქანას „რენკსეროქს“ 5028 სახარჯო მასალით 259 ათას ასლზე.

მისამართი: ქ. თბილისი, იოანე პეტრიწის ქ. №27
(ყოფილი ძნელაძის ქ. №27).

ტელ.: 99-56-81

ორგანიზაციებს, კოოპერატივებს, კერძო პირებს!

თუ გაქვთ სურვილი, რომ თქვენი შენობა-ნაგებობის გარე იერი, შიგა ინტერიერი მხატვრულად მაღალ დონეზე იყოს გაფორმებული, მიმართეთ ასოციაცია **„მზისას“-ს.**

დაინტერესებულ პირებს, რომელთაც აქვთ საკუთარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და სურთ მისი რეალიზაცია ან ამ პროდუქციის ბაზაზე მცირე საწარმოს შექმნა, მიაკითხონ ასოციაცია **„მზისა“-ს**

მისამართი: თბილისი, დ.უზნაძის 68, II სართული, ოთახი 13.

კოოპერატივი „სავანე“ ღებულობს შეკვეთებს საბეჭდი სამუშაოების შესასრულებლად ქართულ და რუსულ ენაზე.

მიღება ყოველდღე 10^{00} საათიდან 15^{00} საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა.

მისამართი: **ბუდაპეშტის ქუჩა № 1, კოოპერატივი „სავანე“**

ერთადერთი თბილისში!

ალტერნატიული და არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის ცენტრში „იადიგარ დაუდი“ მუშაობას შეუდგა ცნობილი ექიმი-უროლოგი, ბიოენერგოთერაპევტი **გია სულაქველიძე,** რომელიც მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: **ნევროზს, კლიმაქტერულ გართულებებს, ჭალთა და მამაკაცთა შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებებს და სხვა.**

იგი ბიოენერგოთერაპიას საჭიროების შემთხვევაში დამატებით უხამებს ფსიქოთერაპიულ სეანსებს.

მიღება წინასწარი ჩაწერით. მუშაობის საათებია: სამშაბათს და ხუთშაბათს — 10^{00}-13^{00} სთ; ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს — 16^{30}-20^{00} სთ.

ჩვენი მისამართია: გალაქტიონის ქუჩა 3/5, ტელეფონი: 99-75-79.

ყურადღება!

ანტიკვარიატის მოყვარულთ

მიაკითხეთ წერეთლის გამზ. 101 (გამოფენასთან) მდებარე ავეჯის სალონს.

სრულიად შემთხვევით შემოვიდა ორი ასეული წლის წინ ამერიკის კონტინენტზე დამზადებული უნიკალური მუსიკალური ინსტრუმენტი.

იყიდება **"Sony"**-ს ფირმის უახლესი ტიპის ვიდეოკამერა (მოყვება მიკრო ვიდეოკასეტები).

დარეკეთ: 51-71-87.

კონსორციუმი „ქართლის“ ფირმა „გრემი“ გამომცემლობა „ხელოვნების“ გრიფით გამოსაცემად ამზადებს მაინ რიდის ათტომეულს მსურველებს ვთხოვთ შეიძინონ აბონემენტები გამომცემლობა „ხელოვნებაში“.

მისამართი: დავით აღმაშენებლის 179.

ტელ.: 35-10-75

პირველ ტომს მკითხველი მიიღებს უახლოეს თვეებში.

ვცვლი

სამოთახიან იზოლირებულ ბინას ნაძალადევის რ-ნიდან ზედაზენის ქ. № 4, მე-9 სართული, ბინა 25. კაპიტალური რემონტით.

ვცვლი ორ და ერთოთახიან ბინაზე, სასურველია 2-ოთახიანი ბინა იყოს გლდანში, მუხიანში, მესამე მასივში, ერთოთახიანი ბინა — დიღმის მასივში, დიდუბეში ან ნაძალადევის რ-ნში.

დარეკეთ ცნობებისათვის: 73-33-02. იკითხეთ ოლია ან კოტე.

ხალგაზრდა ვერიელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.